ოქმი:**ო08. 3726194001**

თარიღი:**13/07/2026**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 10 ივლისი

ქ.ოზურგეთი

1300 – 13:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ზ. სალუქვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ტ. ბარამიძე, თ. ქინქლაძე, ლ. კვაჭაძე, თ. ბადალაშვილი, ლ. მესხი, დ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. .„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” -მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”--მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი-ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, რომელმაც საკრებულოს კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წარმოდგენილი პროექტი და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ცვლილებაზე-კერძოდ, შიდა აუდიტის სპეციალისტის - უფროსი სპეციალისტის

(მესამე რანგის პირველი კატეგორია) თანამდებობის გარდა, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილებიდან ერთი საშტატო ერთეული - უფროსი სპეციალისტის (მესამე რანგის მესამე კატეგორია) გადატანილ იქნება შიდა აუდიტის სპეციალისტის თანამდებობაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი- საკრებულოს დადგენილების პროექტი მუხლობრივად და კონკრეტულად კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ. აღნიშნა, რომ ქონებისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების ნაცვლად სამსახურში იქნება ორი განყოფილება-ქონების მართვისა და ტურიზმისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილებები, რადგანაც მუნიციპალიტეტის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაში უდიდესი იქნება ტურიზმის განვითარების როლი.

კომისიის წევრმა ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ მოსაწონია ეს ცვლილება, ტურიზმის განვითარება პერსპექტიულია მუნიციპალიტეტისათვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მერიის სამსახურის დებულების საკრებულოს რიგგარეშე სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი

წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი